ხუთშაბათი 4 ივნისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ც ა ლ კ ე ნ უ მ ე რ ი ე რ თ ი შ ა უ რ ი. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 ს ა ა თ ს შ ე მ დ ე გ 4 მან.

№ 95 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 95

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.**
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ქუთაისის ქალთა საზოგადოების **წლიური კრება** შესდგება შავი ქვის საბჭოს დარბაზში 6 ივნისს, საღამოს 7 საათზე. გასარჩევია შემდეგი საკითხები: 1) გამგეობის არჩევნები, 2) ანგარიშის განხილვა.

ელექტრო თეატრი **„რ ა დ ი უ მ ი“**
**საზაფხულო შენობა.**
ორშაბათიდან, 1 ივნისიდან, ნაჩვენები იქნება
„ნორდისკის სერიის“ საუცხოვო სურათი:

**მსხვერპლი ბედნიერებაა.**

დრამა ორ ნაწილ. ააგე ხერტელის და კოპენ. სამეფო თეატრის საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

**მისი ბიძაშვილი,** კომიკური სურათი ორ ნაწილათ.
**პროგრამის გარეშე:**
„რადიუმის“ მონოპოლია! ქუთაისში წარმოდგენის ნება მხოლოდ „რადიუმს“ აქვს. მ. ი. უ. მფარველობის ქვეშ მყოფი სკობელევის კომიტეტის გამოცემის სურათი.

**პერემიშლის ალყა და დაცემა.**

ორ ნაწილათ. სურათები აღებულია პერემიშლის აღების დღეს.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის საავათმყოფოში, საღორიის აგარაკში, გაიხსნა **სამშობიარო განყოფილება,** სადაც ყოველ დროს, დღითა და ღამით შეიძლება მიღებულ იქნენ მშობიარენი. 14-2—234.

**უზაოგს ხრესილის მადნეული წყლის მძ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

## ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საუმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდგან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოზით. თ.

**გაბრიელ იოსების ძე**
**ექიმი გოკიელის**
**ელექტრონისა და სინათლის**
**კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. **ალექსანდრეს ქუჩა,** საკუთარი **სახლი.**

**ექიმი რელიგიონი** დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ქირავდება**
**ოთხი თვალი ოთახი** მეორე სართულში, კარლოვის დასაშვებში, რეალურ სასწავლებლის მახლობლად თავისი მოწყობილობით; მიმართვა შეიძლება შაფათა რიჟინაშვილის სავაჭროში, ვორონცოვის ქუჩაზე. 4—4—237.

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდი და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

**კბილის ექიმები**
**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**
ბ ა თ ო მ ი დ ა ნ გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**ექიმი ე. ტ. მულინი** გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

**ყვირილის სამარხი კასის გამგეობა** ამით აცნობებს აღნიშნულ საზოგადოების წევრთ და სთხოვს დაესწრონ ხსენებულ დაწესებულების მორიგ წლიურ

**საზოგადო წევრთა კრებას**

რომელიც დანიშნულია ამა 1915 წელს 13 ივნისს, დღით შაბათს, დილის 9 საათზე დ. ყვირილაში, ყვირილის საკრებულო დარბაზში.
**კრების განსახილველია:** 1) 1914 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 2) მოხსენება გამგეობისა; 3) მოხსენება სარევიზიო კომისიის წევრთა; 4) მოხსენებანი ილ. მაღლაკელიძისა; 5) არჩევა გამგეობის ერთის წევრისა და ერთის ნაცვლისა; 6) არჩევა სარევიზიო კომისიის წევრთა, თანახმ. წესდებ. § 15-სა. 3—1

**ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა** აუწყებს ამა საზოგადოების წევრთ, რომ **გაგრძელება საზოგადო კრებისა** დანიშნულია ქალაქის საბჭოს დარბაზში შაბათს, 6 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საზოგადოების გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნების მოსახდენათ. 2—1

## ო მ ი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 2 ივნ. ოფიციალური კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ოლთისის გეზით სროლაა. ჩვენ დავიკავეთ სოფ. სორპი ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთის ნაპირზე.

### „ბრესლაუს“ დაზიანება.

**პეტროგრადი.** 1 ივნ. როგორც ვიცით ჩვენმა ორმა ნაღმოსანმა დააზიანა კრეისერი „ბრესლაუ“. ჩვენი ნაღმოსნები მსუბუქათ დაზიანდენ. ჩვეულებისამებრ გერმანელები სცდილობენ თავისი ზარალის დამალვას, და სხვისი ზარალის გაზვიადებას. ახლა ასეთ ხერხს კიდეც გადააჭარბეს და ბერლინიდან იუწყებიან, ვითომც „ბრესლაუ-“ს ჩაეძიროს ერთი ჩვენი ნაღმოსანი.

ის კი დაავიწყდათ, რომ თვით სევასტოპოლელებმა თავისი საკუთარი თვალით დაინახეს ბრძოლიდან დაბრუნებული და პორტში შესული ნაღმოსნები.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 1 ივნ. ბელგიის ჯარის ერთი ბათალიონი გადავიდა იზერის არხის აღმოსავლეთ ნაპირზე რკინისგზის ხიდის სამხრეთით დიქსმიუდეში და აქ გამაგრდა. ამასთანავე მათ დაანგრიეს ბლოკჰაუზი დიქსმიუდეს კოშკთან. არარის ჩრდილოეთით ქვეითა ჯარის ბრძოლა გაჩაღდა. აქ ჩვენ დავიკავეთ გერმანელთა ერთი პოზიცია ნოტრდამდე-ლორეტის აღმოსავლეთით. მეორე იერიშის დროს ჩვენ იძულებული გავხდით მიგვეტოვებინა გუშინ სუშეს ქარხნის ჩრდილოეთით აღებული სანგართა ერთი ნაწილი.

**პარიზი.** 1 ივნ. არარის ჩრდილოეთით იერიშები მოვიგერიეთ. ექსნულეტ-სუშეს გზაზე ჩვენ გავამაგრეთ ის ადგილები, რომელიც ნოტრდამ-დე-ლორეტის აღმოსავლეთით დავიკავეთ. ამ ადგილების მარჯვნივ დავიკავეთ 150 მეტრის მანძილი. წინ წავიწიეთ ლაბირინტში. აქ არტილერიის სროლა გრძელდება. ებიუტერნის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ შევაჩერეთ მტრის იერიშები. კონვიერის ფერმის რაიონში ჩვენ ოდნავ წინ წავიწიეთ. ლოტარონგიაში ჩვენი წინსვლა განუწყვეტლივ გრძელდება.

**ჰავრი.** 1 ივნ. ჩვენი ჯარი გადავიდა იზერის არხის მარჯვენა ნაპირზე დიქსმიუდესთან, დაანგრია ბლოკჰაუზი. მტერი შეეცადა ადგილის უკან დაბრუნებას. მაგრამ ის ჩვენი ბატარეიის ცეცხლმა გაფანტა.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 31 მაისი. ოფიციალური. მთავარ ბინისაგან. ტოკალიდან კარნიამდი მტერი სცდილობდა ჩვენი წინსვლისთვის ხელი შეეშალა. ამისთვის მრავალ ადგილზე ჩვენ ჯარს თავს ესხმოდა, მაგრამ ჩვენ მოვიგერიეთ ხოლმე. მაგ. ტოკალის რაიონში მტერმა იერიში მოიტანა სედლოვინ-ტოკალეს წინააღმდეგ და ჩადეს მაღლობებზე. აქ მტერი დავამარცხეთ. აგრეთვე დავამარცხეთ მონტეპოსთან, სოლისთან ჯუდიკარიის ხეობაში, მონტეპიანოსთან მისურინოს რაიონში სესის ხეობაში. პერალბის ღმოსავლეთით მტერი სცდილობდა იერიშის მოტანას. 30 მაისს მტერი ინტენსიურათ მოქმედებდა ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ პალგრანდესთან, პალპიკოლოსთან და პრაიკოფელთან. აქედან მტერი გავდენეთ. ჩვენი შეტევა ნოიალა-კარნიაში გრძელდება ჩვენდა სახეიროთ. ნოიალის ზეობის დაკავების შემდეგ, ჩვენ დავიკავეთ 30 მაისს ვალენტინის ხეობაც. ეს ოპერაცია არც ისე ადვილი იყო, რადგან მტერი თითოეულ სინგრიდან უნდა გამოგვერეკა და კლდიდან კლდეზე უნდა გაგვერეკა. ჩვენი ბატარეია მტრისას სჯობნის და სპობდა მტრის სიმაგრეებს, კაზარმებს და საზვერავ ადგილებს.

გუშინ ჩვენი მძიმე არტილერია ესროდა მალბორგეტეს ციხეს. ციხის ზემო ნაწილში ცეცხლი გაჩნდა და საწყობებში აფეთქება მოხდა. იზონცოზე ჩვენი ჯარი მაგრდება. 29 ს ჩვენ ვესროდით სპრადოს სადგურს და შევსწყვიტეთ მიმოსვლა ნოტიციე-მონფალკონეს შორის.

### გემის ჩაძირვა.

**სტოკჰოლმი.** 2 ივნ. გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ბრისტოლის ახში გემი „ხომპოუნდი“. კომანდა გადარჩა.

### ინგლისის სამხედრო ხარჯები.

**ლონდონი.** 1 ივნ. დამატებითი ბიუჯეტის ხარჯი ომის დასამთავრებლათ უდრის 250 მილ. გირ. სტერლინგს, წინათ მიღებულ ბიუჯეტთან ერთათ ეს ხარჯი უდრის 500 მილ. გირ. სტერლინგს. ხვალ ასკვიტი ამის შესახებ პალატაში წინადადებას შეიტანს.

**ლონდონი.** 1 ივნ. წყალქვეშა ნავმა, რომელმაც „ხომპოუნდი“ ჩასძირა სამჯერ ესროლა გემს ისე, რომ არ გაუფრთხილებია. დაიჭრა გემის კაპიტანი და ის უგრძნობლათ აიყვანეს, იგივე წყალქვეშა ნავი მიუახლოვდა უბაირაღოთ მიმავალ გემს, კომანდას ჩამოსასვლელათ ორი წუთი მისცა და შემდეგ ოთხჯერ ესროლა. აღმოჩნდა, რომ ეს იყო საფრანგეთის გემი „დიამონი“.

### დარდანელი.

**ათინა.** 31 მაისი. მიტილენიდან იუწყებიან, რომ ჩესმენის ყურეში მოკავშირეებმა მოსპეს ოსმალოთა ყველა იალქნიანი გემები.

**პარიზი.** 1 ივნ. ოფიციალური. მოკავშირეებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე იერიში საროსის ყურიდან დარდანელის სრუტემდი. 23, 24 და 25 მაისს მოკავშირეებმა დაიკავეს ბანაკისათვის საჭირო ტერიტორია, ბაბას 250 მეტ. სიმაღლე წარმოადგენს მაგარ პოზიციას ნახევარ კუნძულის გამსწვრივ. ექვსი კვირეა მოკავშირენი მოქმედებენ გლასისში. აქ მოძრაობა სივიწროის გამო საძნელოა. 25 მაისს ჩვენ დავიკავეთ ბულას რედუტი. ოსმალონი უშედეგოთ სცდილობდენ დაკარგული ადგილის დაბრუნებას, ჯარი ამაგრებს დაკავებულ პოზიციებს.

### სპარსეთი.

**თეირანი.** 1 ივნ. ქალაქში ხმა გავრცელდა სამინისტროს გადადგომის შესახებ. ეინუდ-დოულეს კაბინეტმა ვერ შესძლო მტკიცე ხასიათის გამოჩენა. მან დღემდი ვერ შესძლო თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა. მთავრობას აკლია გამბედაობა და მთელ სახელმწიფოში აჩნია ჩვენი მოწინააღმდეგეების აგიტაციის ზეგავლენა.

### არჩევნები საბერძნეთში.

**ათინა.** არჩევნების საბოლოო შედეგი ჯერ არ არის გამორკვეული. ლიბერალურ პარტიას უმრავლესობა ეყოლება. არჩეულია 180 ლიბერალი 316 კაცისაგან. მთავრობის პარტიამ მიიღო 154 მანდატი, ვენიზელოს კაბინეტის ყველა მინისტრები გარდა ფინანსთა მინისტრისა ყველა აირჩიეს. ახლანდელი მინისტრიც გაიშვეს.

### ცეცხლი ვიქტორიის დოკში.

**ლონდონი.** 1 ივნ. გამოურკვეველი მიზეზით ცეცხლი გაჩნდა ლონდონში ვიქტორიის დოკში.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

## გერმანია—ამერიკის მოლაპარაკება.

ბერლინის დიპლომატიურ წრეებში მოუთმენლათ ელიან გრაფ ბერნსდორფს. სულიერი მდგომარეობა აწეულია. ბევრი ამერიკელი თავის საქმეების ლიკვიდაციას ახდენს და ქალაქიდან გადის. ბერლინის სავაჭრო პალატა ბირჟევიკებს არწმუნებს, ნუ მიეცემიან სასოწარკვეთილებას, რადგანაც ამერიკა—გერმანიის დამოკიდებულება უთუოდ გამოკეთდებაო. ბერლინის პრესის აზრით—კი მდგომარეობა სერიოზულია: გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგი" ამტკიცებს, რომ ამერიკასა და სამთა შეთანხმების შორის ჯერ კიდევ 1897 წ. დაიდვა ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც ამერიკა ვალდებული იყო ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა მათთვის, თუ უკეთუ გერმანიასთან მოუხდებოდათ ბრძოლა.

გაზეთის აზრით გერმანია-ამერიკის დამოკიდებულება გაამწვავა მოლაპარაკებაში პირადათ ვილჰელმის ჩარევამ, რომელიც სწორეთ მაშინ გამოვიდა, როცა საქმე უნდა გადაწყვეტილიყო.

დანიის გაზეთი „ბერ. ტიდენდე" სწერს: ვილჰემმა საკუთარი წერილი გაუგზავნა ვილსონს.

„ფორვერტს"-ი ამის გამო სასტიკათ მოითხოვს, რომ დიპლომატიურ მოლაპარაკებაში არ ჩაერიონ არა კომპეტენტიური პირები.

## დიპლომატიურ წრეებში.

ბრაიანის გადადგომას დიპლომატიური წრეები პირველ-ხარისხოვან პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ. ეჭვი არაა, რომ ბრაიანის გადადგომა მოასწავებს განწყობილების შეცვლას მთავრობის წევრებში.

პრეზიდენტი ვილსონი დღემდი არსებითად მომხრე იყო ბრაიანის შეხედულებისა საგარეო პოლიტიკაზე. ბრაიანის გადადგომის საკითხის მიღება ვილსონისაგან ამტკიცებს, რომ მათ შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

დიპლომატიური წრეების აზრით ვილსონის სურვილია ბოლო მოეღოს უპრალო დიპლომატიურ მიწერ-მოწერას გერმანიასთან და მოსთხოვოს ამერიკის მოთხოვნილების დაკმაყოფილება გადაჭრით და გაბედულათ. თუმცა დიპლომატიური წრეები იმასაც კი დასძენენ, რომ, ვიდრე ბრაიანის მოადგილე ამორჩეული არ იქნება, ძნელია ამერიკის მომავალი პოზიციის გათვალისწინებაო.

## ბალკანეთის სახელმწიფოების პოზიცია.

დიპლომატიური წყაროების ცნობით ბულგარეთისა და რუმინიის მოლაპარაკებაში სამთა შეთანხმების სახელმწიფოებთან ცოტა არ იყოს სიჩუმე ჩამოვარდა. ბალკანეთის ნეიტრალური სახელმწიფოები ბრძოლის ველიდან მოსულ თითოეულ უმნიშვნელო დამარცხების ამბავსაც კი დიდ ყურადღებას აქცევენ და ამის გამო თავის გამოსვლას აჭიანურებენ. ისეთმა დამოკიდებულებამ დაბადა ის ხმა, ვითომც რუმინია თავისი დაგვიანებითი გამოსვლით მოითხოვს ბუკოვინის ნაწილს პრუტამდი ქალაქ ჩერნოვიცით.

დიპლომატიური წრეები აცხადებენ, რომ რუმინიას ასეთი მოთხოვნილება არ წაუყენებიაო. სამთა შეთანხმებასაც თავის მოლაპარაკებაში არ აღუნიშნას ხაზგასმით დასათმობ ადგილების გეოგრაფიული საზღვრები. ამ მოლაპარაკების უმთავრესი მიზანი იყოვო, ამბობენ დიპლომატები, გამოერკვიათ მთავრობისა და საზოგადოებრივი აზრი სამთა შეთანხმებასთან დამოკიდებულებისა და რომ რაიმე საეჭვო არ ყოფილიყო ამ საქმეში, სამთა შეთანხმება უთუოთ დააკმაყოფილებდა ბალკანეთის სახელმწიფოების მოთხოვნილებასაო.

კერძოთ რუმინიას მოლაპარაკება აქვს გამართული ავსტრო-უნგრეთის დიპლომატიასთანაც. რუმინიის პასუხისმგებელ პოლიტიკურ მოღვაწეებს სურთ დაიცვან მტკიცე ნეიტრალიტეტი. რუმინიის საქმეების კარგათ მცნობს ერთ დიპლომატს შემდეგი უთქვამს:

— „დარწმუნებული ვარ, თუ ავსტრო-უნგრეთი რუმინიას მცირე ტერიტორიას მაინც დაუთმობს, უკანასკნელი ნეიტრალიტეტს ომის დასრულებამდი მტკიცეთ დაიცავსო.

საბერძნეთი მოითხოვს ტერიტორიის ხელშეკრულობის გარანტიას ბულგარეთის მხრით. ასეთი გარანტია ამ ჟამათ, დიპლომატების აზრით, შეუძლებელია. ბულგარეთის გამოსვლას, მართალია, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სამთა შეთანხმებისათვის, ვიდრე საბერძნეთისას, რომლის გამოსვლაც არა თუ ახლა, მომავალშიც ძლიერ რთულსა და ძნელ საქმეს წარმოადგენს. სწორეთ ამ გარემოების მიხედვით სამთა შეთანხმების სახელმწიფოებმა თავისი მოლაპარაკება დროებით შესწყვიტეს.

# ორი დაწესებულება.

თბილისში ერთი თავ-შესაქცევი დაწესებულება არსებობს—რომელსაც კლუბი ჰქვიან.

კლუბში ფრიად მხიარული ხალხი იყრის თავს.

ვახშმობენ, ბანქოს თამაშობენ, მუსიკას უკრავენ და დასეირნობენ.

ამის გამო, კლუბის მეთაურნი, ამ დაწესებულებას, კულტურულ დაწესებულებას ეძახიან.

იქვე თბილისში მეორე დაწესებულება არსებობს. ჰქვიან მას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ისეთ თავ-მომაბეზრებელ საქმეს ადგია, როგორიც არის სკოლების გახსნა, ბიბლიოთეკების დაარსება, წიგნების ბეჭვდა და საზოგადოთ საგანმანათლებლო საქმე.

მოიყარეს ამ საზოგადოების მეთაურებმა ერთხელ თავი და სთქვეს:

— მოგვწყინდა, ბატონებო, სულ საქმიანობა. მოდი ერთხელ ჩვენც ვისეირნოთ. ხალხს ეს დააინტერესებს, ფულს გაიღებს და ამ ფულით ერთ სკოლას კიდევ გავხსნით.

— სად გავმართოთ—კლუბში?!

და მისწერეს ქაღალდი კლუბს:

— ჩვენც კულტურული დაწესებულება, თქვენც „კულტურული"... ნება მოგვეცით თქვენს ბაღში ვისეირნოთ.

კლუბში ამის გამო კრება მოხდა.

კრებაში მონაწილეობა მიიღეს:

— კლუბის უმფროსმა შვეიცარმა, კლუბის უმფროსმა ოფიციანტმა, კლუბის უმფროსმა მზარეულმა და კლუბის უმფროსმა მებაღემ.

თავმჯდომარეობდა ყველასაგან პატივცემული და დამსახურებული:

— ქალბატონი კვატერნო,

რომელმაც კრების წინა დღეს, კლუბის საშუალებათა გასაძლიერებლათ უკანასკნელი სამოვარი დაავირავა.

ილაპარაკეს რა ცოტა იმის შესახებ, რომ გუშინ კლუბიდგან გაძევებულ იქმნა შულერობისთვის ვიღაც კოხტად ჩაცმული ახალგაზდა, კრება პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

—— ბატონებო, დაიწყო თავმჯდომარემ, ქალბატონმა კვატერნომ:—რომელიღაც საზოგადოება, რომლის სახელი მეტად გძელია და ამისათვის აქ არ გავიმეორებ, გვთხოვს კლუბის ბინას სეირნობის მოსაწყობათ. გთხოვთ გამოსთქვათ თქვენი აზრი—იცნობთ ამ საზოგადოებას, თუ არა?

პირველად ილაპარაკა კლუბის უმფროსმა მზარეულმა:

— მე ბევრი საზოგადოება გამიგონია, მაგრამ ეს საზოგადოება, რომელსაც ასეთი გძელი სახელწოდება აქვს და არც მე გავიმეორებ—პირველად მესმის. მე ვიცი, რომ არსებობს სამზარეულო „ავლაბრის კლუბთან", „ხარფუხის კლუბთან", მაგრამ მე არასოდეს არ გამიგონია, რომ ამ საზოგადოებასთან რამე სამზარეულო არსებობდეს. იქნება ვინმემ იცოდეს-ჰყავს ამ საზოგადოებას წევრნი?

ამაზედ კლუბის უმფროს მზარეულს პასუხი გასცა კლუბის უმფროსმა ოფიციანტმა:

— კაცმა რომ სიმართლე სთქვას, ამ საზოგადოებასაც ჰყავს წევრები—მაგრამ ვახშამს არ მიირთმევენ. ჩვენთვის ოფიციანტებისთვის მხოლოდ ისეთ წევრებს აქვთ მნიშვნელობა, რომელიც ვახშმობენ.

კლუბის უმფროსმა შვეიცარმა მორცხვით განაცხადა, რომ არც მას გაუგია რამ ამ საზოგადოების შესახებ გარდა იმისა, რომ ამ საზოგადოებას არა ჰყავს საკუთარი შვეიცარი, რის გამო ამ საზოგადოებაში მომხდარი ცეცხლი დროზედ ვერ ეცნობა ცეცხლის მქრობელ რაზმს და მთელი ქონება გადაეწვაო.

ილაპარაკა შემდეგ კლუბის მებაღემ, რომელმაც იმით დაათავა, რომ მოსეირნეებმა შეიძლება ბაღი მთლად გააფუჭონ და ამიტომ უარი უნდა ეთქვასო.

მოისმინა რა ყველა ეს ქალბატონმა კვატერნომ თავის მხრით შემდეგი დაუმატა:

— მე ორმოცდახუთი წლისა ვარ. ვთამაშობ ყოველ კლუბში და კერძო ოჯახებშიაც. ჯერ კიდევ გუშინ მივიღე მოწვევის ბარათი „ავლაბრის კლუბისგან" და ერთიც, კერძო, ჩიხტიკოპიანთ ანანოსაგან. და ჩემს დღეში არ მახსოვს, რომ ამ საზოგადოებას ერთხელ მაინც გაემართოს ლოტო. ის, რაც თქვენ ბრძანეთ და ის რაც მე მოგახსენეთ, უკვე საკმაო არის, რომ უარი შეუთვალოთ.

კლუბის ბუფეტიდან „სჩოტების" დამწერს დაუძახეს და შემდეგი დააწერინეს:

„ახალ კლუბის" მამასახლისთა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში ის, რომ ვინაიდგან თქვენი საზოგადოება, რომელსაც ასეთი გძელი სახელი აქვს და რომელსაც, ამის გამო აქ არ გავიმეორებთ, თავის მიზნებით და მოქმედებით სრულებით არ შეეფერება ჩვენი კლუბის საგანმანათლებლო მიზნებს, უარი შემოგითვალათ თქვენს თხოვნაზე".

ამ წერილს როგორც იყო ყველამ ხელი მოაწერა გარდა ქალბატონ კვატერნოსი.

თავის გვარის მაგივრად მან ციფრი 11 გამოხატა ქაღალდზე—რომელიც ასე იკითხებოდა:

— „ტუდი-სუდი"...

ფარსმან ფარუხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შეცდომის გასწორება.

გუშინ ხიმ. წეველის ლექსში შემდეგი შეცდომა შეგვეპარა. სწერია:

„წმინდა ტაძარს დანგრეულს",

უნდა იყოს:

„წმიდა ტაძარს აწ დანგრეულს".

მე-10 სტრიქონში სწერია:

„მაშინ შურის საძებნელათ მოუწოდებ"...

უნდა იყოს:

„მაშინ შურის საძიებლათ მოუწოდებ"..

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე პოზიციებიდან დღეს ოთხ ივნისს დაბრუნდება.

✦ სამშაბათს, 2 ივნისს, დ. ხონში ქ. შ. წ. კ. გ. ს. ხონის განყოფილების სასარგებლოთ გაიმართა ლიტერატურული საღამო. ბ-მა **ია ეკალაძემ** წაიკითხა ლექცია **„აკაკის ცხოვრება და მისი მნიშვნელობა"**. ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას ღებულობდენ: ახალგაზდა მგოსანი **ცვარ-ნამი**, ექ. **პ. ჩხიკვიშვილი** და სხ. ბ. ვასო ბალანჩივაძემ წაიკითხა მხიარული სცენები. ადგილობრივ სცენის მოყვარეების მიერ, ვასო ბალანჩივაძისა და ნემოს მონაწილეობით, წარმოდგენილი იყო ვასო ბალანჩივაძის მხიარული ვოდევილი „უბედური დღე". დასასრულ ადგილობრივ ქალთა და ვაჟთა მიერ შემდგარმა ხორომ ბ. ს. დ. მამალაძის ხელმძღვანელობით შეასრულეს ქართული სიმღერები. დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა.

✦ აკადემიკოსი ნ. მარი ამ ჟამათ დაღესტანში იმყოფება, სადაც იგი განაგრძობს კავკასიურ ენების კვლევა-ძიებას და შესწავლას. იქიდან იგი გაემგზავრება ქალაქ ანისს. აგვისტოში ჩამოვა ქ. ქუთაისს, და ქუთაისიდან გაემგზავრება სვანეთს, სვანური ენის შესახები მასალის შესაკრებათ.

# აკაკის პოეზიის

## ესტეთიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა

იხ. „სამშ". № 94.

აკაკისათვის ყოველი ადამიანი მშვენიერებაა, თუნდ ეს ადამიანი დაცემულიც იყოს, თვით მიეთ-მოეთს ჯანდიერს, რომელიც „აქითაც" არის და „იქითაც", „დროს შეყურებს... ხან წაღმა ხნავს და ხან უკუღმა ჰფარცხავს", აკაკი არ ეპყრობა სასტიკათ და უცდის მასში სინიდისის გაღვიძებას დადგა დრო, ჯანდიერი გონს მოდის, მასში სინიდისი იღვიძებს და ისიცმოძმის საკეთილდღეოთ იბრძვის. ამისთანა ჯანდიერები ბევრი ყავს მგოსანს ნახსენები, მათ თავს არ ანებებს და თავისი ლამაზი, მომხიბვლელი ჰანგებით უღვიძებს მიძინებულ სინიდისს და ამ რიგათ აყავს თავის თავი მგოსანს აღზრდის მისიის უმაღლეს მწვერვალზე.

გრძნობით სავსეა გული სხვა მხარეზე დაღწეული მკურნალი თურმანიძისა, რომელიც ზურაბ წერეთლის რისხვას გაექცა იმერეთიდან და სათათრეთში თავი შეაფარა. მკურნალი თავის სამშობლოს არ ივიწყებს და, რა დაინახავს თავის მოძმის შვილს, „ძმობას" უცხადებს და მამურ მზრუნველობას იჩენს.

კიკოლას ნაამბობში ჩვენ ვრწმუნდებით, თუ როგორ მოსწონს აკაკის გულწრფელი, შეუმჩნეველი გმირები, როგორიც არიან კიკოლა, ქაიხოსრო და სხვა. ეს გმირები პოეტს იმედს აძლევენ და ამართლებენ მის გულის ნადებს და ჩვენც გვჯერა, რომ ზნედაცემულ ზურაბთან არიან კეთილი ადამიანები, რომლებიც ცხოვრებას გვაყვარებენ.

აკაკი ჩვენ გვაცნობს ზნეობით მაღალს თორნიკე ერისთავს, რომელიც ომის დროს ლომივით იბრძვის, მტერს რისხვას სცემს, მაგრამ, რა შესწყდება ომი, თორნიკე ლმობიერათ ექცევა მტერს და აძლევს ბრძანებას:

„ . . . . . . . . განურჩევლად
ქართველი იყოს, გინდა სპარსელი,
გინდა ბერძენი, გინდა სომეხი,
სულ ერთიანად მოჰკიდეთ ხელი,
სიკვდილი ყველას ათანასწორებს,
თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!
ვეცადოთ ყველამ და ნუ დავაკლებთ
დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს
სამარეს.
ნურვინ გაბედავს დატყვევებულებს,
რომ მიაყენოს შეურაცხყოფა"!

ასე ისურვა დიდმა სარდალმა თორნიკე ერისთავმა და ეს სურვილი იყო მთელი მხედრობისა. აქ თქვენ თორნიკე გასწავლისთ კაცმოყვარეობას, გვაყვარებს ბედისაგან დაჩაგრულს, თორემ „ლხინში მყოფი, რომ შენს ძმათ მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია, კაცი ის არის, შენც ის გიყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია".

აკაკი ჯერ დაასურათებს ცხოვრებას და შემდეგ გიამბობს, თუ რა შედეგი მოყვება „კეთილს" ან „ბოროტს" ცხოვრებას. მგოსანი თქვენ გაგაცნობთ ორ ძმას „ერთგულს" და „ორგულს". პირველი ქვეყნის სამსახურსა და ერთგულებაში გაღარიბებული და მეორე კი ორგულობით გამდიდრებული. უმეტესობის ჭკუა თვალშია და რაკი შიგ არ ეჩხირება, მას ვერ ხედავს! „ორგულს" ზოგი სიბრიყვით, ზოგი შიშით და ხათრით, ზოგი ანგარიშით პატივს სცემდენ და ხელს აფარებდენ; „ერთგული" კი ყოველგან და ყველასაგან უსამართლოდ იჩაგრებოდა. ასე ლევდენ ეს ძმები თავის დღესა და სოფელს.

ერთად დაიხოცა ორივე ძმა. „ორგული" იგლოვა ხალხმა, დიდი პატივით დაასაფლავა და მარმარილოს ფიქალი დაადვა ლოდათ. „ერთგულის" სიკვდილი კი ბევრს არ შეუტყვია. არც არავის უგლოვია: აიღეს, ჩააგდეს საფლავში და მიაყარეს მიწა სამადლოთ".

მეორე დღეს გაიარეს მწყესებმა და ნახეს, იმ ახალ საფლავიდან ამოსულა უცხო ბუჩქი, რომელსაც მშვენიერი ყვავილი გამოუღია და ზედ ბულბული დაჭიკჭიკობს. ის ბუჩქი იყო გვამი „ერთგულისი", ყვავილები-მისი ქველი საქმეები და იმ ყვავილებს ფერს აძლევდა შიგ გამჯდარი, ქვეყნის საერთგულოდ დანთხეული სისხლი და ოფლი. მისი ანგელოზიც ბულბულად შემოსხდომოდა და უგალობდა მის სულს. ნახეს, გაუკვირდათ და თქვეს: „ეს რა მშვენიერება რამ ამოვარდნილა საფლავიდან ასე უეცრათო"?

თქვეს და დაარქვეს იმ ბუჩქს „ვარდი". იმ ხანებშივე ზოგიერთებმა შენიშნეს, რომ „ორგულის" საფლავზედაც რაღაც მყრალი ბალახები ამოსულა და მწარედ იჩხვლიტებიან, ლოდს ქვეშ დაუბუდებია ბაყაყებს და საზარელი ხმით ყიყინობენ. ის ბალახი იყო „ორგულის" გვამი, მყრალი სუნი მისი ქვეყნიური ღვაწლი და ბაყაყიც-ეშმაკი. ნახეს და გაუკვირდათ! თქვეს: ეს რა საშინლად იჩხვლიტებაო? თითქოს კაცსა ჰკლავენო! თქვეს და დაარქვეს „ეკალი".

ეს საუცხოვო ზღაპარი თქვენ გასწავლისთ ცხოვრებას, თქვენ ნათლათ ხედავთ ამ პატარა ზღაპარში, თუ რა შედეგი მოყვება იმ კაცის ღვაწლს, ვინც მხოლოდ პირად „მე"-ს ემსახურება და მოძმისთვის არ ფიქრობს. ამისთანა კაცი ხომ კვალს არ აჩენს ცხოვრებაში და სიკვდილის შემდეგაც კი ზიზღით იხსენიებს მას ჩამომავლობა. ხოლო ის ადამიანი, რომელიც მოძმისთვის თავს სდებს, არასდეს არ გაქრება ხალხის ხსოვნაში და მადლიერი შთამომავლობა მის საფლავს დახარის, სიამოვნებით იგონებს მის კეთილს საქმეებს და ბულბულიც უგალობს მის წმინდა საფლავზე ამოსულ ვარდს.

მგრძნობიარე გული ნათელასი ვერ შერიგებია ლხინს იმ დროს, როდესაც „დაჭრილთა კვნესა და ქვრივ-ობლების ღრიალი". ისმის. ქვეყნის მტერსა და ვნების ამყოლს ბინძურ ნოინს ნათელასა ასწავლის სულგრძელობას, ზრდილობას და გაბედულად, უშიშრათ ეუბნება, როდესაც უწმინდურ ნოინს, მშვენიერ ნათელას დანახვაზე წასძლია სულმა და აუძგერა გული ვნებათა ღელვამ:

„შეჩერდი! . . . . . ნუ მოხვალ!
რომ დაიმშვიდო სჯობს გული;
შენს სატრფიალოდ არა ვარ
ამ სიშორს—შორით მოსული!...
სათხოვარი მაქვს წმინდა-რამ!...
მოგენდვე წმინდის გულითა!...
ნუ შეურაცხყოფ კაცობას,
ნუ დამდაბლდები სულითა!
ნუ შფოთავ! დაჯექ დაწყნარდი,
და მოისმინე ვედრება!
სულ-გრძელობასთან ზრდილობას
ან რა სჯობს, ან რა ედრება?!"...

ამ სიტყვებზე ნოინიც გონზე მოვა, მასში სინიდისი იღვიძებს, „უცხრება ვნებათა ჩვეული გული, უქრება სურვილი და ჟინი" და ხმის კანკალით უსმენს ნათელას და სწავლობს მისგან მაღალ ზნეობას. აქ მგოსანი, ვიმეორებ, იმედს არ კარგავს ადამიანში, ვინც უნდა იყოს იგი, რა ტომსაც უნდა ეკუთვნოდეს, ყველას ლმობიერათ ეპყრობა და უღვიძებს მიძინებულ სინიდისს. მგოსანმა ნოინი სრულიად გარდაქმნა. ნოინმა, რომელსაც ეგონა, რომ ქალი მარტო ვნებისთვის იყო შექმნილი, ნათელას სიტყვებზე „იგრძნო რაღაც ციური, მიუწდომელი ძალა!.. გარდიქმნა მისი არსება, ბუნება გამოეცვალა, ხორცი დაუდუნდა, სული—სულსა ეტკბილა" და ისიც უმაღლესი სურვილით შეჰყურებს ნათელას, როგორც ღვთიურს, ფიცულობს მის მამა შვილობას, ნატრობს ნათელას „დობას" და ფიქრობს: „რა სჯობს, რომ გული უბიწო ციური ჯაჭვით დაებას"! ჩააკვირდით ამ სიტყვებს და თქვენც იგრძნობთ, თუ როგორ სრულიად გამოსცვალა მგოსნის კაცმოყვარე გულმა ბინძური ნოინი, რომელიც აამაღლა მგოსანმა სულით და გააფაქიზა გრძნობით. განა ეს საუცხოო გაკვეთილები არ არის ადამიანის ზნეობის აძლიერებისა, რომ ხორციელი სიტკბოება უარყოს და სულიერი ნეტარება განიცადოს?

მდიდრულათ მორთულ ნოინის დარბაზიდან მგოსანი წაგიყვანთ თქვენ მთის მწვერვალზე, ცის მახლობლათ, გიჩვენებთ იქ „ღვიმის პირად მოწნულს, მოგრეხილს ფაცხას", გაგაცნობთ ამ ფაცხის პატრონს ახალგაზდა მთის შვილს აფხაზს, მის ცოლს მშვენიერს ნაზი ბროლას და აი ამ მთის შვილებიდან მგოსანი გასწავლისთ მეგობრის სამსახურს. გადაგიშლისთ აფხაზის გრძნობიარე, სათნოებით სავსე გულს და თქვენ იგრძნობთ, რომ ეს ღრმა, კეთილი გრძნობები ადამიანის სიმშვენიერეზეა აღმოცენებული, მხოლოდ მოქმედება ადამიანის სიყვარულზე დამყარებული. ამიტომაც არის, რომ ყოველ აფხაზის საქციელს აზის ბეჭედი უმანკოებისა და გულიც სავსე აქვს ჰუმანიურის გრძნობებით. ენა კი უბრალო აქვს, თუმცა ღრმა აზრებს გამოსთქვამს.

აი რას ეუბნება აფხაზი თავის სტუმარს, საფარ-ბეგს, რომელმაც შეურაცხყო მისი საყვარელი ნაზი ბროლა:

„არა, შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოთ ჩემი ტყვია:
დედა ჩემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია.....
რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმკაცესად
რომ გატეხე ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესად...
წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!..
დღეიდან ჩვენ წმინდის გულით
ერთმანეთს ვერ მივენდობით!
მაგრამ ერთს კი დაგავალებ,
ამისრულე უეჭველად:
რომ მიხვიდე ყაბარდოში,
იცოდე, რომ სულ პირველად
წადი ნახე ის მოძღვარი,
ვინც შვილივით გამოგზარდა
და უამბე შენი პირით,
რაც სირცხვილი დაგემართა,

✦ მიწად-მოქმედებისა და მიწად-მოქმედების სამინისტროს დაუარსებია განსაკუთრებული სასკოლო კომიტეტი. კომიტეტს ევალება სახალხო სკოლების საშუალებით ხალხში გაავრცელოს სამეურნეო ცოდნა.

✦ ეკატერინა იაკობ ნიკოლაძის ასულმა ამ დღეებში დიდიჯიხაიშიდან ჯარში გაწვეულთა ჯარისკაცთა 36 ოჯახს დაურიგა 360 მან.

✦ ორშაბათს, 2 ივნისს, საოლქო სასამართლოს სისხ. განყ. გაირჩა ბიბილეიშვილების საქმე. ბიბილეიშვილებს ბრალდებოდათ 1913 წ. 22 ოქტომბერს დ. ხონში მიმავალ მეურმეებზე თავდასხმა. სასამართლომ ისინი დამნაშავეთ სცნო და მიუსაჯა თითოს ათ-ათი წლის კატორღა.

✦ ქუთაისის ახალგაზრდათა გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელათ დაიწყება 5 ივნისიდან.

✦ რედაქციამ მიიღო ყოველ-კვირეულ ჟურნალ „სასოფლო გაზეთი“-ს 31 მაისის ნუმერი. ჟურნალი კარგათ არის გამოცემული და მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1. ვენახის დამუშავება გაზაფხულზე და ზაფხულზე ალ. შარაშიძისა, 2. რა გავლენა აქვს სპირტიან სასმლებს მოზარდი თაობის სხეულზე ილ. ფერაძისა, 3. თუთუნის გადარგვა ალ. შარაშიძისა; 4. მევენახეების საყურადღებოთ კ. მოდებაძისა, 5. წერილი ლონდონიდან დ. ღამბაშიძისა და სხვა.

✦ დეკანოზ ივლიანე აბესაძემ ფილანდიის არქიეპისკოპოსისაგან, რომელიც სინოდის წევრია დღეეში მიიღო, რომ ქუთაისში სასულიერო სემინარია აღარ გაიხსნებაო.

✦ როგორც გადმოგვცემენ, წყალტუბოს აბანოზე ამ ჟამათ დიდძალი ხალხი იმყოფება, მრავალი მათგანი უკანვე ბრუნდება, დასადგომ ბინის სივიწროვის გამო.

✦ ორშაბათს, 2 ივნისს, ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი წყალტუბოს აბანოდან უკვე დაბრუნდა. ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს გიორგის აბანოზე ღამის გასათევი ბინა ვერ უშოვნია.

✦ ქუთაისის გუბერნიის მევინობისა და მევენახეობას უფროსი სპეციალისტი ბ-ნი კ. ბერეკაშვილი ამ დღეებში ართვინს გაემგზავრება ადგილობრივ ვენახების და ბაღების დასათვალიერებლათ.

✦ ამ მოკლე ხანში ქუთაისის ქალაქის თეატრში გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო. საღამოს წმინდა შემოსავალი გადაეცემა საქველმოქმედო საზოგადოებას, აჭარლების სასარგებლოთ.

✦ როგორც ოკრიბიდან გვწერენ, იქაური მცხოვრებნი დიდ შიმშილობას განიცდიან. მცხოვრებნი მხოლოდ ხილით იკვებებიან.

. საქ-რო ქუთაისის გუბერნიის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი ან და საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა ყურადღებას მიაქცევდეს ამ ბედშავ ხალხს და დახმარებას აღმოუჩენდეს.

✦ აჭარლების სასარგებლოთ ექიმ ჯორჯიკიას ბინაზე შეგროვილი 15 მანეთი, რომლის შესახებაც გუშინ, 2 ივნისს, გვქონდა გამოცხადებული, მოუგროვებიათ დ. აბაშიძე ელენე შენგელაიას და თამარ გაბუნიას.

✦ რედაქციამ მიიღო პასკულია გოცირიძის ექვსი წლის ბავშისაგან ნათლიის მიერ ნაჩუქარი 2 მანეთი აჭარელთა ბავშების სასარგებლოთ.

## მოწერილი ამბავი.

**დ. ხონი.** მოუსავლობისაგან გამოწვეული ხალხის გაჭირვება აქაიც დიდია და ეს გაჭირვება, რაც ხანი მიდის, მით უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. გაჭირვებულ ხალხს არავინ არ მიეშველა და თვით ითხოვა დახმარება. ხალხის შუამდგომლობა—რომ სასურსათო თანხიდან მისცემოდა სესხათ ფული, არ იქნა შეწყნარებული. აღმოჩნდა, რომ ხალხში შეკრებული აგრეთ წოდებული სიმინდის ფული ხაზინაში არ შედიოდა. ფუთი სიმინდი ამ ჟამად 170—180 კაპიკათ იყიდება, ფქვილი კი 2 მანეთად. ასევე გაძვირებულია სხვა უსაჭიროესი სანოვაგეებიც. თუ დროზე არ იქმნა სიმინდი შემოტანილი ხონში, მალე საყიდლათაც კი ვერ იშოვის კაცი.

— აქეთ ქურდობა ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან გახშირდა. წარსულ ხანებში გატეხეს სილიბისტრო ჩიქოვანის ხეტყის საწყობის სავაჭრო. ამ სავაჭროდან თუმცა დიდი არაფერი გაუტანიათ, მაგრამ ამ საქმის გამოძიებამ და დამნაშავეების აღმოჩენამ ბევრი რამ საყურადღებო გამოამჟღავნა. სილ. ჩიქოვანს სავაჭროს გატეხის მეორე დღეს დაუძახნია ერთერთ დარაჯისათვის და დაუდვია მისთვის ხელი. დარაჯი ნახევრათ გამოტეხილა და უთქვამს ზარალს გიზღავ, რისთვის უნდა დამღუპო კაციო. ს. ჩიქოვანმა ბოქაულს მოახსენა ეს. ბოქაულმა დარაჯი სამსახურიდან დაითხოვა; როგორც დარაჯის ნალაპარაკევიდან სჩანს, დუქნის გატეხაში მარტო ის არ ყოფილა. ძალიან კარგი იყო ესარგებლათ ამით და გამოენახათ სხვა ქურდებიც.

— ხონელი ნოქარ-შეგირდების მდგომარეობა მეტად აუტანელია. მათთვის დასვენება არ არსებობს და გათენების უმალ ხაზეინები დუქანში მიერეკება. შეგირდებს მეტად ცუდათ ეპყრობიან თავისი ალები. ამას წინათ წლების მკერავი რუსაძე თავის შეგირდს აგინებდა უწმაწური სიტყვებით და თანაც სცემდა. ბოქაულმა, მართალია, განსაზღვრა დრო სავაჭროების დაკეტვა-გაღებისა, მაგრამ მას ყურადღებას არავინ არ აქცევს. ხაზეინებიც სარგებლობენ ნოქრების შეუგნებლობით და ეპყრობიან არა ისე, როგორც ნოქარს, არამედ როგორც შინ მოსამსახურეს და ვაჭრობის შემდეგაც სახლში ამუშავებენ. **ხო—ლი.**

## სამგლოვიარო წერილი.

ცხარე ცრემლით დავსტირი ძვირფასი ამხანაგის სიმონ ჭანიშვილის გაცივებულ გვამს. თავზარი დამცა მისმა უდროოთ გარდაცვალებამ. მისმა სიკვდილმა დაარბია მრავალ ტანჯული, წელში გაწყვეტილი სამშობლო სკოლა. გულითადს თანაგრძნობას ვუცხადებ განსვენებულის მშობლებსა და ნათესავებს. ძალიან ვსწუხვარ, რომ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ვერ დავესწარი დასაფლავების დღეს. ვგლოვობ შენს დაკარგვას, დაუვიწყარო მეგობარო! ხიდისთაველი ამხანაგების მოთქმა-გოდებას ვუერთებ ჩემს გულის სიღრმიდან ამონახეთქს ცრემლს.

უდროოდ იყო შენი სიკვდილი!

**ხახ. მასწ. ნიკო ქამუშაძე.**

## ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის საგანგებო კრება. 31 მაისი.

დასასრული (იხ. „სამშობლოს“—94-ე №)

**რ. დათეშიძე.** აქ ბევრი ბრალდება იყო წამოყენებული ჩემს წინააღმდეგ. მე მათ პასუხს არ გავცემ; მოგახსენებთ მხოლოდ იმას, რასაც აქ განვიცდი. სხვათა შორის, აღნიშნვენ: სასტიკათ ეპყრობა ინტელიგენციას, წვრილ მწარმოებელთ, ასრულებს კერძო საქმეებს; აგრეთვე ამბობენ წევრთა რიცხვმა იკლოო. წარსული წლის ანგარიშის უკან მოთავსებულია წევრთა შესახებ ცნობა. 896 წევრთა შორის ხუთასამდე ახალი წევრია ჩემს დირექტორობის ხანაში მიღებულნი.

400 კაცი კი წევრთა რიცხვიდან გამოირიცხა, რადგანაც ზარალის დასაფარავად ხვედრი გადასახადი ვერ გადიხადეს. ამას თხოულობდა წესდება.

ასე რომ საწარმოო თანხას მხოლოდ 30000 მანეთი მოემატა, რაც შეეხება ინტელიგენტთა და წვრილ ვაჭართა შესახებ თქმულს, უმორჩილესად გთხოვთ დამისახელოთ იმისთანა პირი, რომელმაც თხოვნა შემოიტანა და ჩვენ—კი უარი უთხარით, თუმცა ის ღირსეული იყო. ვინც ღირსია ნდობისა, ჩვენ მას უარს არ ვეუბნებით. გარდა ამისა ამ საქმეს სწყვეტს საბჭო, მიმღები კომიტეტი და გამგეობა—სულ 19 კაცი დამეოცე კაცს ნუ თუ შემეძლო ჩემს ნებაზე საქმის წაყვანა. აქ თქვეს კომერციული ბანკის პრინციპით ამ გვარ ბანკთა მეთაურთ არ აქვთ უფლება კერძო საქმის წარმოებისაო ეს ასე არ არის. დიდს კომერციულ ბანკებს აქვთ სხვა და სხვა ქალაქებში განყოფილებები, რომელთაც განაგებენ გამგეები—განყოფილების მმართველები.

ამ მმართველთ არ შეუძლიათ კერძო საქმეთა წარმოება. ხოლო რაც შეეხება თვით ცენტრალურ გამგეობის წევრთ, ამ თანამდებობაზე არც-კი აირჩევენ იმისთანა პირთ, რომელთაც ვაჭრობასთან და წარმოებასთან მჭიდრო დამოკიდებულება არა აქვთ. რაც შეეხება ვადა გასულ ვექსილებს, მათი რაოდენობა 5 წლის წინათ უფრო მეტი იყო, დღეს—კი დიდათ ნაკლებია. ამ ანგარიშს ასწორებენ და იმედია მალე გააბათილებენ.

ხოლო რაც შეეხება ჩემი ხუთი წლის მოღვაწეობას, ამის დაფასება თქვენთვის მიწინდვია. (ხანგრძლივი ტაში)...

**ა. კრინიცკი.** კიდევ ვიმეორებ, მე ყუთის დადგმას მაიძულებს ჩემი მოვალეობა. მე სულელი არ გახლავარ, არც რამე გაჭირვებას განვიცდი; მადლობა ღმერთს სრულიად უზრუნველყოფილი ვარ. ადგილიც ამაზე უკეთესი მაქვს. ძალიან მიღებული კაცი ვარ, ჩემთვის ყველგან კარი ღიაა. ვიცი, რომ გამაშავებენ. მაგრამ ყუთს მაინც ვდგამ. მტკიცედ ვდგავარ ამ პრინციპზე, რომ იმ ერისთვის, რომელსაც მე ვეკუთნი, ქართველ ერისთვის, დიდათ საზარალოთ მიმაჩნია გათიშვა და შუღლი. ჩვენი გათიშვა არის ჩვენი დაკნინების ნიშანი. საზოგადოება გაიყო ორ ნაწილათ, ვაჭრები ერთი მხრით და თავისუფალი დარგის ხალხი-მეორე მხრით.

თუ ეს ბანკი გამაგრდა ეს ყველას მიზეზითაა, რომ ერთი მეორესათვის ხელი არ გაგვეწოდა, საქმე ცუდათ წავიდოდა.

ჩემი მოვალეობაა გითხრათ: უნდა მოისპოს ეს მდგომარეობა. რაც შეეხება წინადადებას მეორე კანდიდატის ცუდი მხარეები დაასახელოო, მე ამას არ ვიტყვი. ჩემი გაშავება არ იქნება პირადათ ჩემი შეურაცხყოფა, არამედ პირდაპირი თქმა, ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთო.

ვაჭრებში ყვირიან: ჩვენ არავის ვეთიშებით, განხეთქილება არ არის, ისმის დიდი პროტესტი...

**ნ. გვარჯალაძე.** პროტესტს აცხადებს ა. კრინიცკის სიტყვების წინააღმდეგ.

ჩვენში არავითარი განხეთქილება არ არის, ბევრი ინტელიგენტია ჩვენი მომხრეო, და სხვ...

**თავმჯდ. ა. ჩიქოვანი.** რეზუმეს უკეთებს ორატორთაგან წარმოთქმულ აზრებს და რ. დათეშიძესა და ა. კრინიცკის ყუთს უდგამს.

ფარული კენჭის ყრით, როგორც აღნიშნული გვქონდა, დიდი უმრავლესობით არჩეულ იქნა რ. დათეშიძე, რომელმაც მიიღო 248 თეთრი და 55 შავი. ა. კრინიცკის მოუვიდა 96 თეთრი და 207 შავი.

## პირველი ეროვნული სკოლა.

### ქართ. ქალების დედათა ინსტიტუტი.

თუ მოკლედ გადავავლებთ თვალს ქართველი ქალის ისტორიას დაწყებულს მე-18-ტე საუკუნის საბედისწერო ბოლოდან, ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგება სრული დაცემა მათი. მე-19 ტე საუკ. პირველ-ნახევრის უღელ-ტეხილმა მოდრიკა და დასცა ქართველი საზოგადოება; მუდმივ ომებიდან გადარჩენილებს თუმცა ახლა ეღირსათ თავისუფლად ამოსუნთქვა, მაგრამ ეს თავისუფლათ ამოსუნთქვა ძლიერ ძვირად დაუჯდა მათ. თუ ერთს რომელიმე უღელ-ტეხილს გადაურჩენ, ახლა მეორე, უფრო საზიზღარი და სამარცხვინო დააწვათ თავზე.

ახალ ხანას, რომელიც მას დაუდგა, ის ვერ შეეჩვია, იუცხოვა კიდეც და კეთილის მაგივრად, რომელსაც ის ახალ ცხოვრებიდან მოელოდა, თავი სასოწარკვეთილებას მისცა და რომ დაეკმაყოფილებია თვისი ასეთი სასოწარკვეთილება, ღხინს, ქეიფს მიჰყო ხელი. შესწყდა ქართველთო მედგარი მაჯის ცემა, მაგრამ უფრო საგრძნობელი შეიქნა ის გარემოება, რომ ამ საერთო უღელ-ტეხილმა, ყველაზე უფრო ქართველი ქალი ჩაითრია.

ქართველი ქალის შფოთვარე ფსიხოლოგიური აგებულება, ნელ-ნელი—შეპარვით დაუმორჩილა ქვენა გრძნობებს. ახალი ცხოვრება უეცრივ დაეცათ თავზე ძველი შფოთვარე ცხოვრებიდან გადარჩენილებს და უგზო-უკვლოდ დაიბნია იგინი.

„ჩინ-ჯინჯილების“ შოვნაზე თავდადებულმა, გადაგვარებულმა მამებმა თავისი უბადრუკი გავლენა დაასვა თავის ქალს. ახლა ქალი ცდილობდა არ დაკლებოდა ახალ-ახალ საღამოებს, კლუბებს, სადაც უცხო ჩინოსანი კაცები დაუხვდებოდენ, რომლებთანაც ისინი თავს სრულ კმაყოფილად სთვლიდნენ და არც-კი აგონდებოდათ ახალ გარემოებათაგან გამოწვეული ახალი თავისი მოვალეობა. უშინაარსო კისკისმა, ტრფობისაგან გამოწვეულმა გრძნობებმა გამოაცალეს ქართველ ქალს გმირული, რაინდული გრძნობა. ენა, ეს დედა-ძარღვი ეროვნებისა ხომ აღარ ახსოვდათ და მათ ადგილს მხოლოდ უცხო ენა იკავებდა. ამგვარ აღზრდილ ქალებს უთუოდ ნაყოფიც ასეთი უნდა ჰქონოდა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მე-19 საუკ. პირველი ნახევარი გ. ერისთავმა დასახა მყრალ ჭაობათ, რომლის მომწამვლელი სუნიც მთელ ქვეყანას ზიზღს გვრიდა. ამ ჭაობის პირველ შემქნელად, პირველ ამღვრეველად ქართველი ქალი გამოდიოდა, ვინაიდან ის ამავ დროს აღმზრდელის როლსაც თამაშობდა და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უნდა ყოფილიყო ამათგან აღზრდილი თაობა.

ამ დროს საზოგადოებაში გაჩნდენ ისეთი პირები, რომელთაც წაუსწრეს წინ საზოგადოების არსებულ მდგომარეობას. მიისწრაფოდენ წინ და უთითებდენ საზოგადოების, შორს მბჟუტავ იდეალებზე. ასეთმა პირებმა თავისი [illegible] ღება მიაპყრეს უპირველეს [illegible] ცემულ მდგომარეობას—ქალებს და შესაფერისი მოვალეობის ასრულება მოსთხოვეს მათ.

ძლიერ ბევრი ხანი დასჭირდა ქართველ ქალებს, რომ მათ გულში ისევ აღდგენილიყო სპეტაკი გრძნობები, აღდგენილიყო ნაზი, მაგრამ ამავ დროს გმირული არსება; ქართველი ქალი თითქოს გარდაიქმნა, შთაინთქა ბიწიერების უფსკრულში, შთაინთქა ისე, რომ მისი ამოყვანა თითქოს არავითარ ძალას არ ძალუძდა.

მაგრამ გადიოდა დრო და ევროპიული სწავლა-აღზრდის საქმეც ნელ-ნელა ფეხს იდგამდა საქართველოში. სულიერი კულტურის ძლიერმა მოყვარულმა ქართველმა ხალხმა—რა თავი სამშვიდობოში დაიგულა—ხელი მოჰკიდა სწავლა-აღზრდის საქმეს. ხარბათ დაეწაფენ განათლებას ისეთი ელემენტებიც-კი, რომელთაც უწინ ლოთობისა და ქეიფის მეტი არა გაუკეთებიათ რა.

რას აკეთებდნენ ამ დროს ქართველი ქალები? თუმცა მათთვისაც არსებობდა სკოლები, მაგრამ შიგ მოსწავლე ქალებს მხოლოდ გარეგნული ფორმა, გარეგნული სურათები ახასიათებდა, ვიდრე შინაგანი. მაღალი თვისებები. მათი ოცნება ისევ ვერ გასცილებოდა უშინაარსო ცხოვრებაზე ფიქრსა და ოცნებას; არავითარი საზოგადოებრივობა მათ აღარ აინტერესებდათ. მათ შეთვისებული ჰქონდათ მხოლოდ გარეგნული მხარე ცივილიზაციისა: ფორტეფიანოზე მღერა, ევროპიული ცეკვა. და სხვ. და სხვ. ენებზე ტიტინი,—აი რა ახასიათებდა მაშინდელ ქალს, რომელიც ერთად-ერთ დანიშნულებას ამაში ხედავდა.

მათ შემხედვარეს, ვერ მიეცემოდა იმედები ქვეყნის კეთილ-დღეობაზე. მაგრამ თუ ჩაუკვირდებით შიგა და შიგ ამ ფაქტს, ჩვენ ნაკლებათ დავსდებთ ამაში უპირველეს ბრალს თვითონ ქალებს. აქ უპირველეს დამნაშავედ გამოდიოდა ის საზოგადოება, რომელ საზოგადოებაშიაც ისინიც ტრიალობდენ. მაშინდელი საზოგადოება, ქალის განათლებას რაღაც ალმაცერად უყურებდა და ზედმეტ ბარგათაც სთვლიდნენ მათ ცხოვრებაში გამოსვლას. ქალის განათლებას საზოგადოება იმდენად აფასებდა, რამდენათაც ის მას გასათხოვრად და თავის მოსაწონებლად გამოადგებოდა და ქალიც, რასაკვირველია, ცდილობდა პირნათლად შეესრულებია საზოგადოებისაგან ნაკისრი მოვალეობა.

ევროპიულმა სადმა აზროვნებამ ქალის უფლების შესახებ, აქაც თვისი შესაფერი კვალი დაამჩნია საზოგადოებრივ აზრს და ამიტომ რამდენიც დრო გადიოდა, იმდენათ უფრო ხელს ჰკიდებდენ ქალის სულიერ მხრის დაფასებასაც. ქართველ ქალსაც ნელა-ნელა უღიმოდა ბედი, ასე რომ შორს არ იყო ის ნანატრი წუთები, როდესაც ქართველი ქალი სრულ გათვითცნობიერებულად იგრძნობდა თავს. ეს ნანატრი დროც ნელა-ნელა ახლოვდებოდა. გადაგვარებული ქართველი ქალი ცოტ-ცოტათი დაინტერესდა თავისი წინაპრების ისტორიით, ლიტერატურით, მათ გულშიაც იღვიძებდა ნაზი გრძნობა სამშობლოსადმი სიყვარულისა. ეს სიყვარული, თუმცა უმნიშვნელო, სადღაც გულის კუნჭულში მიჩქმალულიყო, მაგრამ სრული დამამტკიცებელი იყო იმის, რომ ცალკე საზოგადოების და ცალკე მათივე მონდომებით, სიყვარული ძალზე გაიზრდებოდა და, მაგრათ მოიკიდებდა ფეხს მათ არსებაში.

და დღეს, როდესაც ეროვნულმა გრძნობამ თვისი შესამჩნევი კვალი გაავლო მიძინებულ ახალთაობაში, დღეს, როდესაც ასეთ კვალს ესაჭიროებოდა ეკლიანი გზის გაკაფვა და სწორ გზაზე დადგომა, თვალსაჩინოდ საჭირო ხდებიან ქართულ კულტურის ნიადაგზე გამვითარებულნი, ქართველური სულით შთაბერილი დედათა თაობა, რომელთაც შეეძლებოდათ შვილების ეროვნულ ნიადაგზე აღზრდა.

და სწორედ ეს დიდი ხნის მისწრაფებანი ფრთებს ისხამენ დღეს, როდესაც არსდება ქართული ეროვნული სკოლა—ქართველ ქალთათვის, სადაც ყოველ ქართველ ქალს შეეძლება თავისუფლად ამოსუნთქვა, სადაც მათ შეეძლებათ ღრმად და მოურიდებლათ დაეწაფონ ქართულ ენას და იქიდან სწუწნონ ტკბილი ეროვნული ნექტარი.

არა ჩვეულებრივ მოვლენათ გვევლი-

---

ჩაუფიქრდით ამ პოემის სიტყვებს: „წადი ჩემგან შენდობილი, მაგრამ შორს კი და მშვიდობით“!.. და თქვენც იგრძნობთ პოემის დედა აზრს და მიუახლოვდებით ძირითად იდეას. თქვენ აქ განიცდით პოემის ღრმა ზნეობრივ გავლენას და თვალწინ დაგეხატებათ ზნეობით გასპეტაკებული მთის შვილი, აფხაზი. ნუთუ შესაძლოა ეჭვი დაებადოს ვისმეს, რომ პოემა არ ახდენს დიდ ზნეობრივს გავლენას ადამიანზე? ამაზე ეჭვის დაბადება შეუძლია მხოლოდ ისეთებს, რომლებიც, როგორც ამბობს ბელინსკი, თავის ცხვირის მეტს ვერას ხედვენ და ან ისეთს გაუნათლებელ მორალისტებს, რომლებიც მიჩვეული არიან ზნეობა მარტო ანბანურ სენტენციებში დაინახონ. ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ საშინელ სულიერ ტანჯვას განიცდის საფარ-ბეგი და მისი აღმზრდელი ჰაჯი-უსუბი. საფარ-ბეგის ტანჯვა ეს აფხაზმაც იგრძნო და როდესაც პირველმა უკანასკნელს თავი მოუხარა და მოკვლა სთხოვა, მაშინ აფხაზმა უთხრა:

„რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესად,
რომ გატეხე, ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესად“.

თავის მოწაფის საქციელმა მეტათ აალელვა და ააშფოთა ჰაჯი უსუბი. საბრალო აღმზრდელს არ იცოდა რა ექნა. ის განიცდიდა აუტანელს სულიერს ტრაგიზმს, მას სინიდისი ქენჯნიდა და, აი კიდეც ნამუსის გასაწმენდათ ის თავისივე ხელით თავისვე სისხლს ღვრის: „მან შეაყენა ზედა ფეხზე გატენილი დამბაჩა და ცხელი ტყვია მიიჭედა საფეთქელში. აღმზრდელის სიკვდილი—თქვენ ღრმათ გაფიქრებთ, ანალიზს უშვებით საკუთარს „მე“-ს და თავდარიგს იჭერთ არ მოგიხდესთ საფარ-ბეგისთანა ზნედაცემულების აღზრდა. ამ მხრივ პოემას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ახლა მოვიყვანთ განთქმული ვაჟკაცები. დათუნა გოცირიძე და ივანე კვიტაშვილი. ამ ორი გმირის შორის შური ჩამოვარდება და ერთმანეთის მოსისხლე მტრები ხდებიან. მაგრამ ჩქარა იგრძნობენ დანაშაულს და ახალგაზდა კვიტაშვილი უსიტყვოდ ეცემა მუხლის თავებზე და ეხვევა მოხუცს დათუნას. მოხუცი მას წამოაყენებს, ჩაიკრავს გულში და ეტყვის: „შენ ჩემთან დამნაშავე ხარ და მე კი ქვეყნის წინაშე: სანამ გარეშე მტერი არ მოგვიგერებია, შინაური მტრობა რჯულის უარის ყოფაა და ორივეს ღმერთმა შეგვინდოსო“! ისინი აძლევენ მხარი-მხარს და ერთად მიდიან მტრის წინააღმდეგ. „ნეტავ თუ ახლანდელი ქართველებიც, ამბობს მგოსანი, ასე დასთმობენ პირად უსიამოვნებას და განხეთქილებას საზოგადო საქმისთვის.

დიახ, საზოგადო საქმისთვის სამსახურს რომელიც თავის თავად შობს კაცობრიობის სიყვარულს, ძმობასა და მეგობრობას ხშირათ შეხვდებით აკაკის პოეზიაში. ეს წმინდა გრძნობები იდეალათ დაუსახავს მგოსანს და თქვენც მისი ნაწერების კითხვის დროს ეძლევით ნეტარებას. ეს გრძნობები იპყრობს მთელს თქვენს არსებას და თქვენც პოეტთან ერთად ოცნებობთ ერთა დაკავშირებაზე და მათ შორის სათნოებაზე. აქ თქვენს ფანტაზიას წარმოუდგება ქრისტეს სარწმუნოებით განსპეტაკებული „უცხო მხარე“, სადაც გამეფებულია სიმართლე და თანასწორობა, „სადაც სიღარიბეს ბოროტებად არა სთვლიან, სადაც პირად ღირსებას ნაბოძვარში არა სცვლიან! სადაც ყველა თანასწორია, ერთს მეორის არ აქვს შიში, სადაც მოსპო ქრისტეს მცნებამ ფარისევლის ანგარიში“.

ამ რიგად თქვენ ხედავთ, რომ „მგოსნისთვის ლოცვა და ლექსი ერთი და იგივე სულის მოძრაობის ნაყოფია“, რომელიც ადამიანს სულით აამაღლებს და უღვიძებს წმინდა გრძნობებს.

**გიორგი ნიორაძე.**

(შემდეგი იქნება)

ნება დღეს ეს სკოლა, როდესაც,—

. . . . . .

. . . . . გიმნაზიებში თავიდანვე უნერგავდენ ბავშვს უცხო ენისადმი სიყვარულს და პატივისცემას დღეს სწორედ ასეთ სკოლას, ისიც დედათა ინსტიტუტს, ალტაცებაში უნდა მოჰყავდეს მთელი ქართველობა და უფრო ქართველი ქალები. მხრით ჩემი უმწვერვალეს ალტაცებით ვულოცავ ქართველ-ქალებს, რომ მათ უდგებათ სანეტარო ხანა, ხანა სრულის გათვითცნობიერებისა, შეგნებისა. ვეცადოთ ყველგან და ყოველთვის მოვარიდოთ მას ჩვენი მოუხეშავი ძალებისაგან გაყინული და გაციებული გული და მხოლოდ გულისმხურვალე რაინდული ქეთევანისებურის გულითა და სულით მივეგებოთ პირველ მერცხალს, მახარობელს ჩვენი დაბეჩავებული ერის აღდგენისას — განათლებული ქართველი ქალის სახით.

**ბ. მ—ძის ასული.**

## ქუთაისის ქალ. თვითმართველობის საყურადღებოთ.

ძნელია ყველა იმ საჭიროების აწერა, რაც მე თვალით ვნახე სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების აღწერის დროს. რამდენიმე მაგალითი ამ გაჭირვებისა ბ. რაჟდენ კანდელაკმა უკვე მოათავსა გაზ. „სამშობლოში". მე მსურს ამ წერილით ქალაქის თვითმართველობის ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ ის ფული, რომელიც ურიგდება სათადარიგო ჯარის კაცების ოჯახებს მთავრობისგან, წესიერათ ვერ არის განაწილებული თვითმართველობისაგან, როგორც ამას მოითხოვს საჭიროება: ზოგ ოჯახში მოხუცი დედ-მამა ღვთის ანაბარაა მიტოვებული, არავინაა მათი დამხმარე და არც მთავრობისაგან იღებენ დახმარებას.

ასეთი ამბები ხდება არა მარტო ქუთაისში, არამედ სოფლებშიაც.

ქალაქის თვითმართველობის მოვალეობაა ეს გადმოცემული თანხა, რომელიც უნდა მოხმარდეს სათადარიგო ჯარის კაცების ოჯახებს, ისე მოაწესრიგონ, როგორც ამას მოითხოვს საჭიროება და ყველა ცოტათ თუ ბევრათ დაკმაყოფილებული იყოს.

**ნინო სვანიძისა.**

## დაბა-სოფლები.

**ს. ბროლის ქედი.** (ქუთ. მაზრა.)

ეს სოფელი დაშორებულია ქუთაისს სულ შვიდი-რვა ვერსის მანძილით. მიუხედავათ ამისა, აქაური მცხოვრებნი, შედარებით იმერეთის სხვა კუთხეებთან, ძლიერ ჩამორჩენილი არიან, როგორც კულტურულათ, ისე ეკონომიურათაც. აქ არ არსებობს არც სკოლა და არც სხვა რაიმე კულტურული დაწესებულება, რომელნიც ხალხის შეგნება-განვითარებას ხელს უწყობენ. ამიტომ ეს სოფელი ყველას დაბალ ღობეთ აქვს მიჩნეული, და ბრალიანი და უბრალო, ყველა თავისუფლათ თარეშობს მასზე.

აი, ერთი ამის საუკეთესო მაგალითი: ამ ორი წლის წინათ მეწისქვილე ანდრია სირბილაძემ, აქაურ მცხოვრებ კანდელაკებთან შეთანხმებით, ააგო წისქვილი მდინარე ჰიშურაზე, რომელიც ამ სოფელს დასავლეთით ჩაუდის, წისქვილის სათავე ჩაუგდო სწორეთ იმ ადგილას, სადაც სასოფლო ხიდი იყო გამართული. სათავესთან დაგუბებულმა წყალმა ხიდი მოშალა, რის გამოც მცხოვრებლები სრულიად ჩაკეტილი შეიქნენ თავის სოფელში, რადგან ეს ერთად ერთი გზა იყო მათთვის ქუთაისისაკენ მომავალი. წინათ თუ ცოტა რამე მაინც ჩამოქონდათ ქუთაისში გასაყიდათ და აღებული ფულით მცირედათ მაინც იკმაყოფილებდენ თავის მოთხოვნილებებს, ახლა ეს უკანასკნელი საშუალებაც კი მოესპოთ ბ. ბ. კანდელაკებისა და სირბილაძის წყალობით.

ამ გარემოებამ ხალხი ცოტა არ იყოს გამოაფხიზლა და აამხედრა ზემოხსენებულ პირთა თავ აშვებულ მოქმედების წინააღმდეგ. მაგრამ თვითონ ხალხმა არ იცოდა, თუ როგორ ეწარმოებია საქმე. დამრიგებელი და გზის მაჩვენებელი მათ ამ სოფელში არავინ მოეძებნებოდათ. ისევ დაუწყეს ძებნა თავისიანებში ისეთ კაცს, რომელიც თავს იდებდა ამ საქმის წარმოებას. ბოლოს გამოჩნდა ადგილობრივი მემამულე (ქუთაისში მცხოვრები) აზნ. ბ. სიმონ კანდელაკი, რომლის ინტერესებიც ილახებოდა ამ ხიდისა და გზის გაუქმებით. მან იდვა თავზე ამ საქმის წარმოება. სოფლელებიც გულუბრყვილოთ, ანგარიშ მიუცემლათ მიენდვენ მას და აღუთქვეს გაიღოთ ყოველივე ხარჯი, ოღონდ კი საქმე მათ სასარგებლოთ დაბოლავებულიყო.

საქმე აღიძრა ქუთაისის სასამართლოში. ბ. სიმონ კანდელაკი სავსებით დაკმაყოფილდა სასამართლოში საჩივრის ქაღალდის შეტანით და არავითარი ღონისძიება არ მიიღო, რათა საქმე მათ სასარგებლოთ გადაწყვეტილიყო. მოპირდაპირე მხარეს კი ამ დროს არ ეძინა. სირბილაძემ გამოიტანა ჰოგნარის საზოგადოების მამასახლისისაგან მოწმობა იმის შესახებ, რომ ეს გზა ეკუთვნის მთელ საზოგადოებასაო. ეს მამასახლისის მოწმობა სრულ სიყალბეზეა აშენებული, რადგან ეს გზა და ხიდი ეკუთვნის მარტო სოფ. ბროლის ქედს და არა მთელ საზოგადოებას, რასაც ამტკიცებს ამ სოფლის „პოლევოი ჟურნალი". ეს ყალბი მოწმობა ბ. სირბილაძემ წარადგინა სასამართლოში საქმის გარჩევის დღეს, რომელიც მოხდა გასული წლის 12 ენკენისთვეს.

ბ. „მეთაურმა" სიმონ კანდელაკმა, არა თუ არ გამოიტანა გარჩევის დღემდე „პოლევოი ჟურნალი", სადაც სიმართლე აშკარად სჩანდა, და წარუდგინა მოსამართლეს, იმდენი შეგნებულებაც კი ვერ გამოიჩინა, რომ პასუხი ეგო მოსამართლისათვის. მოსამართლემ კი განიხილა მამასახლისის მოწმობა და ვერ შეხვდა ხალხის მხრით ვერავითარ წინააღმდეგობას, დაადგინა: რადგან გზა ეკუთვნის მთელ საზოგადოებას და მომჩივნებათ კი გამოდის რამოდენიმე კომლი, ამ საჩივარს ვსპობთ.

ამ რაგათ საწყალმა ხალხმა, თავის „მეთაურის" უთავობის გამო ეს საქმე წააგო. და ამით უფრო უარეს დღეში ჩაცვივდენ, რადგან ერთხელ წაგების შემდეგ საქმე უფრო გართულდა და წინათ თუ ცოტათ თუ ბევრათ გაგებული ადამიანი ადვილად მოაგვარებდა საქმეს, ეხლა მის გასანახლებლათ დიდი შრომა და და ხარჯია საჭირო.

ხალხი დღესაც ჩაკეტილია სოფელში და არსაით გასავალი გზა არა აქვს, რის გამო ძლიერ დიდ გაჭივრებაში არიან ჩაცვივნული. იგინი მზათ არიან გაიღონ ყოველივე ხარჯი, ოღონდ კი ვინმე ითავებდეს და საქმეს მოაგვარებდეს და ბატ. კანდელაკისავით უფრო უარეს დღეში არ ჩაყრიდეს მათ.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ადგილობრივი პოლიცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს მცხოვრებლებს ამ საქმეში, თუმცა არა ერთხელ მიუმართავთ მათ, როგორც მამასახლისისათვის, ისე პრისტავისთვისაც.

**აშოტ კურთპილატი.**

## დარიგება ვაზის ჭრაქის (ობი) წამლობაზე.

ჭრაქი (ობი) მეტათ გავრცელებულია ქუთაისის გუბერნიაში და დიდ ზარალსაც აყენებს ვენახებს. ამ ჭირს იწვევს პარაზიტი სოკო პლასმოპარა ვიტიკოლა (plasmopara viticola) და უმთავრესად ჩნდება ფოთლებზე. მოყვითალო ფერის წინწკლები, რომელიც შემდეგ წაბლის მსგავს მუქ ფერს ღებულობს ფოთლების ქვემო პირზე; ზემო აღნიშნულ წინწკლების პირდაპირ ჩნდება ფქვილივით თეთრი მტვერი; ეს ლაქები თანდათან ერთობა, ფოთოლი მუქდება, ფოთლის ქსოვილი ხმება და ბოლოს ფოთოლი სრულებით სცვივდება, ყურძნის მარცვლები უფოთლოთ რჩება მზის სხივების პირდაპირ გავლენაში, ალარ მწიფდება, სკოც თანდათან ერევა, მიხაკის ფერს იღებს და სცვივა.

საზოგადოთ, წვიმიან ზაფხულში ჭრაქი ძალიან ვრცელდება; ნოტიო და თბილი ადგილები უფრო მეტათ უწყობს ხელს ჭრაქის გავრცელება-განვითარებას. ვენახი რომ გადავარჩინოთ ამ სენისაგან, საჭიროა წინასწარი ზომების მიღება, ე. ი. წამლის მომზადება და შესხმა ჭრაქის გამოჩენამდი. წამალი მზადდება შემდეგი სახით:

უნდა ავიღოთ: 6 ფუთი (8 ვედრა) წყალი (უმჯობესია წვიმის წყალი), 3 გირვანქა შაბიამანი, 2 გირვანქა ახალი დაუშლელი კირი ან ასე: 1 ფუთი წყალი $1/2$ გირვანქა შაბიამანი, $1/4$ (ცოტა მეტი) გირვანქა ახალი დაუშლეში კირი.

პირველათ უნდა გახსნათ (გასძრათ) შაბიამანი ხის ან თიხის ჭურჭელში; შაბიამანი უნდა ჩაიკიდოს წყალში ტომსიკით ან კალათით; მეორე პატარა ჭურჭელში გასძარით კირი და მიიღებთ ერთ გვარ კირის რძეს, რომელიც გაცივების შემდეგ უნდა გაწუროთ საცერში, რომ ხინჭკები და ან სხვა რამ არაფერი შეყვეს და ნელნელა ჩაასხით შაბიამანის სითხეში, რომელსაც განუწყვეტლივ უნდა ურიოთ ხის ნიჩაბით. მიიღებთ ღია ცის ფერ მოლურჯო სითხეს. ხმარების წინ სითხეს გულ მოდგენით უნდა ურიოთ ყოველთვის აპარატში (მაშინაში) ჩასხმამდის; ერთი დღე და ღამის მერე სითხის გაჩერება არ ვარგა.

ბორდოს სითხის დასამზადებლათ საჭიროა კარგი ხარისხის მასალები; შაბიამანი უნდა იყოს ლამაზი, ცის ფერი, ბროლივით დაკუთხული; უნდა გამოიწეროთ საიმედო ფირმებიდან. კირი უნდა იქნეს ახალი, დაუშლელი, რომელიც ცოტა წყალში ჩადებისათანავე ძლიერ ცხელდება და იშლება.

1) ვენახის პირველი წამლობა საჭიროა როცა ვენახის ახალი ყლორტები გახდება სიგრძით 4—6 გოჯი. ვენახის წამლობა საჭიროა წყნარსა და მზიან ამინდებში. წამლობის დროს მუშა, ვინც წამლობს, უნდა გაჩერდეს 2—3 ნაბიჯზე ვაზთან და ისე უსწორებს ვენახს შხეფებს, რომ თანასწორათ წვრილ წვეთებათ აცხებოდეს ფოთლების ქვემო პირს და აგრეთვე ვენახის სხვა ახალ-ნორჩ ნაწილებს.

2) მეორე წამლობა იმავე წესრიგით ხდება ორი სამი კვირის შემდეგ.

3) მესამე წამლობა—სამი კვირის შემდეგ.

მეორე და მესამე წამლობის დროს საჭიროა გულმოდგინეთ უწამლოთ ყურძნის მტევნებს. იმ ალაგებში სადაც ძლიერ სინოტიავეა, ხშირი წვიმა იცის და ვაზი მეტის მეტათ იზრდება, მეტჯერ წამლობენ—სამჯერ წამლობა არა კმარა.

წამლის შემზადების გასაადვილებლათ სარგებლობენ დამზადებული ფხვნილით (პარაშოკებით), რომელიც რამდენიმე წუთში იხსნება წყალში. ასეთ ფხვნილებში აღსანიშნავია ვერმორელის ფხვნილი „ეკლერი"—(eclaire), რომელიც სრული ყურადღების ღირსია, როგორც ნამდვილი საშუალება ჭრაქის წინააღმდეგ. ხსენებული ფხვნილი იყიდება თავის შესაფერი დარიგებით პაჰკობით.

ცნობილი მიკოლგი და მეცნიერი ა. იაჩევსკი ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ დანამდვილებით გვირჩევს ვიხმაროთ ერთმანეთში არეული და წყალში გადგვეფილი გოგირდი და კირი. უნდა ავიღოთ $3\ 1/2$ გირვანქა გოგირდი და $3\ 1/2$ გირვანქა დაუშლელი ქვა კირი. კირი უნდა დაასხთოთ ცოტა წყლით; როცა კირი დაიშლება და ეს ფხვნილი კიდევ ცხელია, მას ცოტა-ცოტათ უნდა მიუმატოთ აღებული გოგირდი და თანდათანვე ურიოთ ჯოხით ერთმანეთში; შემდეგ ცოტა-ცოტა წყალი უმატოთ, აზილოთ ჯოხითვე; თანდათანობით უნდა გაათხელოთ წყლით მანამ არ დაუმატებთ ექვს ფუთ წყალს.

სითხე რომ შეჩერდება, თავზე მოიყენებს გოგირდის პკეს, მარა არევისთანავე ეს პკე ადვილათ იხსნება.

ხმარების წინ მანქანაში ჩასხმამდის სითხეს ყოველთვის უნდა მოურიოთ.

ვენახის საშხურებლათ ხმარობენ სხვა და სხვა მანქანას (აპარატებს); მათ შორის კარგია ვერმორელის სისტემის მანქანა.

საჭირო ცნობებისთვის შეიძლება მიმართოთ: ქ. ქუთაისში, მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის უფროს სპეციალისტს.

უფროსი სპეციალისტი **კ. ბერეკაშვილი.**

## აჭარლების დახმარება.

დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილმა გადმომცა შეწირულება 14 მან. (ნახევარი აჭარლების სასარგებლოთ და მეორე ნახევარი კი ქუთ. გუბ. დამშეულთათვის), რისთვის გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს შემომწირველს.

ქართ. საქვ. საზოგ. ქუთ. განყოფ. ხაზინადარი

**გრ. გველესიანი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ გიტო საყვარელის ძეს ჩხაიძეს, რომელმაც ქ. ოზურგეთში შეაგროვა აგანის წ. ს. სამკითხველოს სასარგებლოთ 35 მ. და 15 შ.

აგრეთვე მადლობას ვსწირავთ იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ამ კეთილ საქმეს შემოსწირეს თავისი წვლილი. აქვე მოგვყავს შემომწირველთა სია:

ალექსანდრე დიმიტრეს ძე ცეცხლაძემ, მოსე ვასილის ძე თორაგლიძემ, დათიკო ნესტორის ძე ელიაძემ, გრიგოლ ექვთიმეს ძე ვასაძემ, ესე ივანეს ძე თრაგველიძემ, სერაფიონ ნიკოს ძე ჩხაიძემ, ბიჭიკო სილევანის ძე ღრაგველიძემ, ლევარსი პავლეს ძე ანთელაძემ, რუბენ ლავრენტის ძე ჩხაიძემ, გიტო ჩხაიძემ, ვარდენ ა. ჩხაიძემ, ლადიკო მაქსიმელის ძე ჩხაიძემ, შემოსწირეს თითო მანეთი. დიმიტრი პავლეს ძე ანთელაძემ, 1 მ. და 5 შაური; სოლომონ ოქროპირის ძე მიქატაძემ, მიხაკო ლუკას ძე მელუამ, ვასილ თახოს ძე კოპლატაძემ, მელიტონ სტეფანეს ძე ჩხაიძემ, დათიკო ილარიონის ძე ჩხაიძემ, ელისე ივანეს ძე ანთელაძემ, მათე ჩიტაიშვილმა, მიხაკო ივლიანეს ძე მიქატაძემ, იაგორ ლომინაძემ, მარო კალანდარიშვილისამ, ვასილ კვანჭანტირაძემ, ალფესი ონისიმეს ძე თრაგველიძემ, ივანე ილარეს ძე ჩხაიძემ, ნევრონ ლომინის ძე ბელეშაძემ, ვარლამ ლევარსის ძე ტოტოჩავამ, სილოვან ერასტოს ძე ლომჯარიამ, დომენტი ივანეს ძე სამსონიამ, ალექსი მაქსიმეს ძე ცერცვაძემ, სოლომონ ხონელიამ, ვარლამ დიმიტრეს ძე გორდელაძემ, გიორგი დიმიტრის ძე სიმელიძემ, კირილე ესეს ძე აბაშმაძემ, ბესარიონ ჩითანის ძე რამიშვილმა, ისიდორე ივანეს ძე კვირკველიამ, ალექსი გაბრიელის ძე ზაზახიძემ, ნოე ივლიანეს ძე გიგინეიშვილმა, იოსებ ქანქაძემ, ნადეჟდა ვარამანის ასულმა ცეცხლაძისამ, ვასილ მაქსიმელის ძე ჩიგოგიძემ, კოლია პავლეს ძე მახარაძემ, მელიტონ ფარნაოზის ძე ურუშაძემ, მაკა ლუმბაძისამ, შაშე ლომინაძემ, ათ-ათი შაური. დიმიტრი სიმელიძემ 2 აბაზი; სიმონ მიქატაძემ—7 შ.; სირმა ლუკას ძე ზურაბიშვილმა, კალისტრატე ივანეს ძე ვასაძემ, ილარიონ მოლარიშვილმა, ისაკი ტრაპაიძემ, ყათრან ბერიძემ, გრიგოლ მექვაბიშვილმა, ილარიონ გეგიამ, ბართლომე სამსონიამ, ანდრია ვასილის ძე გოლიაძემ, გიორგი ა. სალუქვაძემ,—ექვს-ექვსი შაური ივანე კოპლატაძემ, ანტონ მუჟირმა, ალექსანდრე მამულაიშვილმა ხუთ-ხუთი შაური. [illegible] ჯელიძემ, ნიკო კვაშალმა, იოსებ მგელაძემ, ფილიპე ლილონტმა, გლახუნ [illegible] ან. ანჩ—მ, გიორგი თავაძემ, [illegible] დოხაძემ, ლადიმერ [illegible] თითო აბაზი. ნიკო გოგიბერიძემ, და ლევარსი ჩხაიძემ სამ-სამი შაური. ილარიონ მექვაბიშვილმა—6 შ. ელენე ჩხაიძისამ ბელეშაძის ასულმა და ტასიკო ლომინაიშვილი სამ. ბელეშაძის ასულმა სამი მანეთის რუსული წიგნები, ვლადიკო მაქს. ჩხაიძემ წიგნები სამ მანეთად დირებული.

**აცანის წ. ს. სამკითხველოს გამგეობის წევრი.**

**ივანე ზურ. ჩხაიძე.**

---

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

ჩემს პირველ საპასუხო წერილს რომ ბ. ა. ჩინჩალაძე კარგად დაკვირვებოდა, გაიგებდა, რომ მე მისთვის ჯაშუში არ მიწოდებია, და არც ჩემი გაჩხრეკა-დაპატიმრების მიზეზად დამისახელებია.

ბ. ა. ჩინჩალაძე კვლავ იმეორებს თხოვნას. იმ „რაცდა ფაკტის" (სიტყვები მისია) აღნიშვნის შესახებ, რომელიც, მისი სიტყვით, არავისათვის საიდუმლო არ იქნება. თუ ეს ასეა, სჩანს, ა. ჩინჩალაძესაც სცოდნია ამ ფაკტის შინაარსი და, მაშასადამე, მნიშვნელობაც პირადად მისთვის და რადას მედავება, არ ვიცი.

მე კი იმავე მიზეზით, რაც პირველ საპასუხო წერილში დავასახელე, ამ ფაკტის აღნიშვნას პრესის საშუალებით ვერ გკისრულობ და პირადად ვერც ა. ჩინჩალაძესთან გავმართავ მიწერ-მოწერას.

განმეორებით ვიტყვი მხოლოდ, რომ ის თავისთავად ბრალდებას არ შეიცავს, და როცა გარემოება ამის ხელის შემწყობი იქნება ა. ჩინჩალაძის თხოვნაც დაკმაყოფილდება ჩემ მიერ ამ ფაკტის აღნიშვნით.

ასტრახანი. **ბ. ბელაშვილი.**

---

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**


დაიბეჭდა და იყიდება **ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

**„НОВОЕ СЛОВО"**

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

**ფასი უდით 2 აბაზი.** თვ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер."** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„ძველი სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია"**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

**ალექსანდრეს ქუჩა, ტფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სასწავლო საკანცელარიო ნივთები.

**— კატალოგები უფასოთ —** თ.

**ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი**

**აბანო.** აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრო საშუალება, ჰკურნავს გასაკვირველად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნაძვნარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდი.

თ. 215


სწრაფ მბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში.